საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 323/ი

03 05 2019 წ.

ქ. თბილისი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს უფროსის 2019 წლის 25 აპრილის №482645 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ.“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული დარგობრივი მახასიათებელი ამოქმედდეს 2020 წლის 01 ივნისიდან.
3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

გიორგი ვაშაკიძე